

საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის წინა პირობები და  
გამოწვევები

ლიზი კვიციანი

ნაშრომი წარდგენილია ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების  
ფაკულტეტის

ენერჯეტიკის მართვის და მდგრადი განვითარების პროგრამის მაგისტრანტის  
მიერ

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თორნიკე აფრიაშვილი, აკადემიური დოქტორი

სადიპლომო ნაშრომი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიზი კვირიკაშვილი

23/06/24

## აბსტრაქტი

მთელ მსოფლიოში ელექტრო ენერჯის მოხმარების სწრაფი ზრდისა და მისი მახალანსებელი ენერჯო წყაროების მოძიების აუცილებლობის გამო, დღესდღეობით საქართველოს ენერჯეტიკის სექტორი მნიშვნელოვან რეგულაციებს და სწრაფ განვითარებას მოითხოვს. ნაშრომი მოიცავს საქართველო ჰიდროპოტენციალის წარმოჩენას, არსებული ჰიდროენერჯეტიკული სისტემის, პოლიტიკისა და რეგულაციების განხილვას, რათა გამოიკვეთოს იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც საჭიროა დიდი ჰესების წარმატებულად განხორციელებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს კონტენტ ანალიზს და ინტერვიუებს ენერჯეტიკის სექტორის წარმომადგენლებთან, ჰესების საპროექტო კომპანიების თანამშრომლებთან. გარდა ამისა, რაოდენობრივი მეთოდით გამოკითხული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული პირები, რათა გამოიკვეთოს მათი მოსაზრებები და შეხედულებები საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით.

შედეგების საფუძველზე მოხდება არსებული ენერჯეტიკული პოლიტიკის პრობლემების იდენტიფიცირება, რაც ხელს უშლიან ჰიდროენერჯეტიკის განვითარებას ქვეყანაში. კვლევაში მოყვანილი ინფორმაცია აჩვენებს ხდება თუ არა გათვალისწინება წარსულის შეცდომის და რა პროცესები მიმდინარეობს ამჟამად, რაც ხელს შეუწყობს ჰესების ეფექტურ და მდგრად განვითარებას საქართველოში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დიდი ჰესი, ენერჯეტიკული პოლიტიკა, ჰიდროენერჯეტიკა.

## **Abstract**

Due to the rapid increase in electricity consumption worldwide and the necessity to find balancing energy sources, Georgia's energy sector currently demands significant regulations and rapid development. This paper highlights Georgia's hydropower potential, discussing the existing hydroelectric system, policies, and regulations to identify the complex factors necessary for the successful implementation of large hydropower plants.

The research methodology includes content analysis and interviews with representatives from the energy sector and employees of hydroelectric project companies. Additionally, quantitative methods will be used to survey local populations and other interested parties to gather their opinions and perspectives on the construction of large hydropower plants in Georgia.

Based on the results, existing issues in energy policy that hinder the development of hydropower in the country will be identified. The information presented in the study will show whether past mistakes are being considered and what processes are underway to promote the efficient and sustainable development of hydropower plants in Georgia.

Key search terms: large hydropower plant, energy policy, hydropower.